პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №---

2022 წლის ----- ნოემბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანები“ -ს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“, ცვლილების შეტანის თაობაზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 15 ნოემბრის № 48-482231940 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ახალი რედაქციით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების შეტანას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ბ.“ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ ,წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შემდეგი სახით:

ა) წესდების მეორე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

11. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სწავლებისათვის სათანადო მომზადებაში ხელშეწყობა .

ბ) წესდების მესამე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

7.საბავშვო ბაღის არმქონე სოფლებიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები ბავშვების არანაკლებ 5 კილომეტრით დაშორებულ უახლოეს ქალაქში ან სოფელში მდებარე საბავშვო ბაღში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში ან სოფელში არის სკოლამდელი ასაკის არანაკლებ 30 ბავშვი ან მეტი.

გ) წესდების მეოთხე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,4.გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: გაერთიანების ადმინისტრაცია, სათათბირო საბჭო და გაერთიანების შემდეგი ფილიალები: ქალაქ წყალტუბოს №1 ბაგა-ბაღი (მდებარე

ქ.წყალტუბო, ბესიკის ქ.№17), ქალაქ წყალტუბოს №2 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქ. №1), ქალაქ წყალტუბოს №3 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, გოგებაშვილის №3), ქალაქ წყალტუბოს №4 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქ.მე-4 შესახვევი), №5 ბაღი (მდებარე სოფელი გვიშტიბი), №6 ბაღი (მდებარე სოფელი მაღლაკი), №7 ბაღი (მდებარე სოფელი ფარცხანაყანევი), №8 ბაღი (მდებარე კოპიტნარის დასახლება), №9 ბაღი (მდებარე სოფელი მესხეთი), №10 ბაღი (მდებარე სოფელი მუხიანი), №11 ბაღი (მდებარე სოფელი გეგუთი), №12 ბაღი (მდებარე სოფელი პატრიკეთი), №13 ბაღი (მდებარე სოფელი ტყაჩირი, №14 ბაღი (მდებარე სოფელი ოფშკვითი), №15 ბაღი (მდებარე სოფელი საყულია) №16 ბაღი (მდებარე სოფელი ახალი საყულია), №17 ბაღი (მდებარე სოფელი გუმბრა), №18 ბაღი (მდებარე სოფელი ოფურჩხეთი), №19 ბაღი (მდებარე სოფელი რიონი), №20 ბარი (მდებარე სოფელი ქვიტირი), №21 ბაღი (მდებარე სოფელი ხომული), №22 ბაღი (მდებარე სოფელი ცხუნკური), N23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), N24 ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა N15) და ასევე ის ფილიალები, რომლებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნებიან ღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს კულტურის, განათლების,სტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

მოამზადა

მოწვეული სპეციალისტი ს. ჯოლოხავა

შეთანხმებულია

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მ. ბერაძე

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე მ. ჭელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482231940**
თარიღი: **15/11/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის No42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ." ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' წესდებაში შეტანილ იქნა ცვლილება. კერძოდ,
ა) წესდების მეორე მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

11. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სწავლებისათვის სათანადო მომზადებაში ხელშეწყობა .

ბ) წესდების მესამე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

7.საბავშვო ბაღის არმქონე სოფლებიდან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები ბავშვების არანაკლებ 5 კილომეტრით დაშორებულ უახლოეს ქალაქში ან სოფელში მდებარე საბავშვო ბაღში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, თუ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულში ან სოფელში არის სკოლამდელი ასაკის არანაკლებ 30 ბავშვი ან მეტი.

გ) წესდების მეოთხე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,4.გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: გაერთიანების ადმინისტრაცია, სათათბირო საბჭო და გაერთიანების შემდეგი ფილიალები: ქალაქ წყალტუბოს №1 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ბესიკის ქ.№17), ქალაქ წყალტუბოს №2 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, ვაჟა-ფშაველას ქ. №1), ქალაქ წყალტუბოს №3 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, გოგებაშვილის №3), ქალაქ წყალტუბოს №4 ბაგა-ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქ.მე-4 შესახვევი), №5 ბაღი (მდებარე სოფელი გვიშტიბი), №6 ბაღი (მდებარე სოფელი მაღლაკი), №7 ბაღი (მდებარე სოფელი ფარცხანაყანევი), №8 ბაღი (მდებარე კოპიტნარის დასახლება), №9 ბაღი (მდებარე სოფელი მესხეთი), №10 ბაღი (მდებარე სოფელი მუხიანი), №11 ბაღი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

(მდებარე სოფელი გეგუთი), №12 ბაღი (მდებარე სოფელი პატრიკეთი), №13 ბაღი (მდებარე სოფელი ტყაჩირი, №14 ბაღი (მდებარე სოფელი ოფშკვითი), №15 ბაღი (მდებარე სოფელი საყულია) №16 ბაღი (მდებარე სოფელი ახალი საყულია), №17 ბაღი (მდებარე სოფელი გუმბრა), №18 ბაღი (მდებარე სოფელი ოფურჩხეთი), №19 ბაღი (მდებარე სოფელი რიონი), №20 ბარი (მდებარე სოფელი ქვიტირი), №21 ბაღი (მდებარე სოფელი ხომული), №22 ბაღი (მდებარე სოფელი ცხუნკური), N23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), N24 ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა N15) და ასევე ის ფილიალები, რომლებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნებიან აღნიშნული წესდების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად''.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანება“

ს/კოდი 221281636 5400ქ. წყალტუბო ვაჟა-ფშაველას ქ. N1 T (0436)22 00 72

N 31-1/72
09/11/2022

72-31-1-2-202211091429

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

მერს ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 6 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის N31/1731 ბრძანებით მოხდა ა(ა)იპ ''წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება.

წარმოგიდგენთ წესდებაში შესატან ცვლილებების ჩამონათვალს მუხლების მიხედვით.

მუხლი 2 „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიზნები და ამოცანები.

მე - 11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სკოლაში სათანადო მომზადების ხელიშეწყობა სურვილის მიხედვით მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში და საბავშვო ბაღებში.

მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა და მართვა.

მე - 4 პუნქტში 22 ფილიალის ჩამონათვალს დაემატოს: N 23 ბაღი (მდებარე სოფელი თერნალი), N 24 ბაღი (მდებარე ქ.წყალტუბო 9 აპრილის 15)

გთხოვთ შეგვიტანოთ ცვლილებები.

გიორგი იობიძე

მმართველი